საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

№8679

18 / ნოემბერი / 2015 წ.

საპროკურორო საბჭოს

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა[2]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, და ამავე კანონის მე-9[1] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავარი პროკურორობის შემდეგ კანდიდატებს:

1. ვლადიმერ გაბრიჩიძე;
2. ნანა რევაზიშვილი;
3. ირაკლი შოთაძე.

ყველა ამ კანდიდატის რეკომენდატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციის, აკადემიური წრეების ან/და მედიასაშუალების წარმომადგენლები. ისინი ჩემ მიერ შეირჩნენ იმავე რეკომენდატორების მიერ წარმოდგენილი 8 კანდიდატისგან შემდგარი სიიდან.

კენჭისყრამდე კანდიდატებთან ჩატარდება ინდივიდუალური გასაუბრება საპროკურორო საბჭოს ფორმატში, რაც საბჭოს წევრებს საშუალებას მოგცემთ, დაუსვათ მათ თქვენთვის სასურველი კითხვები (თითოეული კანდიდატის შესახებ დასაბუთებული წარდგინება იხილეთ დანართში).

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი

მინისტრი

თეა წულუკიანი

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

18 ნოემბერი 2015 წ.

საპროკურორო საბჭოს წინაშე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა[2]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, და ამავე კანონის მე-9[1] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად,

წარდგენილნი არიან

საქართველოს მთავარი პროკურორობის კანდიდატები

კანდიდატი N 1

ვლადიმერ გაბრიჩიძე

პროფესია/თანამდებობა: ადვოკატი, იურიდიული ფირმა - გაბრიჩიძე და კომპანია

სამეცნიერო ხარისხი: -

რეკომენდატორი: ქუთაისის უნივერსიტეტი

მოქალაქეობა: საქართველო

ასაკი: 47

ვლადიმერ გაბრიჩიძეს მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (თსუ, 1989-1994 წწ., იურიდიული ფაკულტეტი),

5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (1995-2001 წწ.) მუშაობდა გამომძიებლად საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში,

14 წელია, მუშაობს ადვოკატად (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, სიითი N 1119),

არ არის ნასამართლევი,

იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით,

არის მშვიდი და გაწონასწორებული,

არ არის პოლიტიკური პარტიის წევრი.

კანდიდატის ძლიერი მხარეებია:

აქვს სისხლის სამართლის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც საგამოძიებო, ასევე საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში;

იზიარებს იმ რეფორმატორულ კურსს სისხლის სამართლის სფეროში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

აქვს ხედვა, თუ როგორ აამაღლოს პროკურორისა და პროკურატურის იმიჯი როგორც სამართალდამცავთა შორის, ისე საზოგადოებაში;

საპროკურორო საქმიანობის მისეული ხედვა ეფუძნება როგორც კანონმორჩილების პრინციპის მკაცრად დაცვას, ასევე ადამიანის უფლებებს;

არის მშვიდი და გაწონასწორებული.

კანდიდატის სუსტ მხარედ, ამ კონკრეტული პოზიციისთვის, შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მას არასოდეს უმუშავია პროკურატურის ორგანოებში.

კანდიდატის სხვა, დადებითი თუ უარყოფითი მხარე გამოიკვეთება საპროკურორო საბჭოს ფორმატში ინდივიდუალური გასაუბრებისას.

კანდიდატი N 2

ნანა რევაზიშვილი

პროფესია/თანამდებობა: ადვოკატი

სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი: 2001 წ., სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რეკომენდატორები: არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა თანადგომა"; მედიაკავშირი „ობიექტივი"; პროფესორთა ჯგუფი

მოქალაქეობა: საქართველო

ასაკი: 51

ნანა რევაზიშვილს მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (პოლიციის აკადემია, 1987-1992 წწ., იურიდიული ფაკულტეტი),

12 წლის განმავლობაში (1994-2006 წწ.) მუშაობდა პროკურორად საქართველოს პროკურატურის ორგანოებში, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურასა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში,

6 წელია (2009-2015 წწ.), მუშაობს ადვოკატად (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, სიითი N4654),

არ არის ნასამართლევი,

იურიდიულ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში სარგებლობს კარგი რეპუტაციით,

არის მშვიდი და გაწონასწორებული,

არის პოლიტიკური პარტიის წევრი.

კანდიდატის ძლიერი მხარეებია:

აქვს პროკურატურის ორგანოებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება;

იზიარებს იმ რეფორმატორულ კურსს სისხლის სამართლის სფეროში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

არის ქალი - ამჟამად ქალთა ნაკლებობაა პროკურატურის ორგანოებში და არა მხოლოდ მმართველ თანამდებობებზე;

არის მკვლევარი და არაერთი ნაშრომის ავტორი, მათ შორის საპროკურორო სამართალში;

აქვს პროკურორის პროფესიისადმი განსაკუთრებული ერთგულების განცდა და ხედვა, თუ როგორ უნდა მოიზიდოს ახალგაზრდა თაობის იურისტები პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ;

საპროკურორო საქმიანობის მისეული ხედვა ეფუძნება როგორც კანონმორჩილების პრინციპის მკაცრად დაცვას, ასევე ადამიანის უფლებებს;

ადამიანის უფლებების მასიური დარღვევების პერიოდში საადვოკატო მომსახურებას უწევდა არაერთ პატიმარს.

კანდიდატის სუსტ მხარედ, მოცემული კონკრეტული პოზიციისთვის, შეიძლება ჩაითვალოს მისი პარტიულობა. არჩევის შემთხვევაში, აუცილებელი იქნება პარტიის დატოვება და მკაცრი ზღვრის დადგენა პოლიტიკურ და საპროკურორო საქმიანობას შორის.

კანდიდატის სხვა დადებითი თუ უარყოფითი მხარე გამოიკვეთება საპროკურორო საბჭოს ფორმატში ინდივიდუალური გასაუბრებისას.

კანდიდატი N 3

ირაკლი შოთაძე

პროფესია/თანამდებობა: საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე

რეკომენდატორები: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“

მოქალაქეობა: საქართველო

ასაკი: 32

ირაკლი შოთაძეს მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (თსუ, 2000-2005 წწ., იურიდიული ფაკულტეტი),

4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (2006-2010 წწ.) მუშაობდა საქართველოს პროკურატურის ორგანოებში პროკურორად, მათ შორის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურასა და საქართველოს მთავარ პროკურატურაში,

3 წლის განმავლობაში (2010-2013 წწ.) მუშაობდა გამომძიებლად, სხვადასხვა მენეჯერულ თანამდებობაზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში,

2 წელია, მუშაობს საქართველოს მთავარ პროკურატურაში მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ.

არ არის ნასამართლევი,

სამართალდამცავთა და აკადემიურ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით,

არის მშვიდი და გაწონასწორებული,

არ არის პოლიტიკური პარტიის წევრი.

კანდიდატის ძლიერი მხარეებია:

აქვს სისხლის სამართლის სფეროში მუშაობის მრავალმხრივი გამოცდილება, როგორც საგამოძიებო, ასევე საპროკურორო საქმიანობის ფარგლებში;

აქვს საპროკურორო ორგანოებში მაღალ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;

იზიარებს იმ რეფორმატორულ კურსს სისხლის სამართლის სფეროში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

ყოველთვის პოულობს დროს, შეხვდეს და გაესაუბროს მოქალაქეებს, მათ შორის მათ, ვისაც სერიოზული და დასაბუთებული სამდურავი აქვთ პროკურატურის ორგანოებისადმი წარსული წლებიდან გამომდინარე;

საპროკურორო საქმიანობის მისეული ხედვა ეფუძნება დანაშაულთან ბრძოლის უპირობო პრიორიტეტს და ადამიანის უფლებებს.

კანდიდატის სუსტ მხარედ, ამ კონკრეტული პოზიციისთვის, შეიძლება ჩაითვალოს მისი შედარებით ახალგაზრდა ასაკი, სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით.

კანდიდატის სხვა დადებითი თუ უარყოფითი მხარე გამოიკვეთება საპროკურორო საბჭოს ფორმატში ინდივიდუალური გასაუბრებისას.